

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი  
№1**

ქ. ქუთაისი

19 თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                  |   |
|------------------|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.  |
| ირაკლი ავალიანი  | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.                         |
| მალხაზ ბასილაძე  | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე  | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.                                 |

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „მაკდონალდსი“-ს შენობის ირგვლივ გზის ა/ბეტონის საფარის, ღვარსადენის და ტროტუარების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 800 (რვაასი) ლარი) შედგენის შესახებ.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით - ქალაქ ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „მაკდონალდსი“-ს შენობის ირგვლივ გზის ა/ბეტონის საფარის, ღვარსადენის და ტროტუარების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 800 (რვაასი) ლარი) შედგენის პროექტი.

**აზრი გამოთქვას:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.  
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „მაკდონალდსი“-ს შენობის ირგვლივ გზის ა/ბეტონის საფარის, ღვარსადენის და ტროტუარების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 25 თებერვალს 12:30 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 25 თებერვლის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო

პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:



ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი



მალხაზ ბასილაძე



ირაკლი გიორგაძე

